



**გაუგათ
ლაღი მაკბატს**

დათო თავართქილაძე

გაუგეთ ლედი მაკბეტს

მოთხრობები

2024

სარჩევი

PREFACE	5
დარეჯან ცბიერის კორტრეტი.....	7
საუკეთესო ნაჭერი.....	18
მაგდანას ლურჯა.....	28
Q-თრეინი.....	36
გლდანელი ანზორი (ისტორია როკის სტილში).....	46

ილუსტრაციები: **ვაჟა სიმონიშვილი, ლალი რიგიშვილი**

დაკაბადონება: **მიხეილ ჯაში**

ISBN: 978-9941-8-6219-9

PREFACE

ერთმა ირლანდიელმა თქვა: ქალი იმისთვის არის შექმნილი, რომ გიყვარდეს და არა იმისთვის, რომ გაუგო მას.

ცხადია, ეს ლამაზი პარადოქსია. მონუმენტივით გამოიყურება. ოღონდაც აქ სხვა ამბავიცაა: გაგება.

აბა, როგორია, გაუგო ლედი მაკბეტს?

ძალიან ძნელია, რადგან ჩვენ მხოლოდ ორი ლედი მაკბეტი ვიცით: ისტორიული და შექსპირული.

გაგება უკიდურესად რთული საქმეა, ალბათ უფრო რთულიც, ვიდრე მიაფურთხო ისეთ გულს, რომლითაც ადამიანს ადამიანი ძულს.

გაგება ზოგჯერ პატიებაზე მეტია, რადგან მასში თანაგრძნობაც არის.

შენ დაემსგავსე უმანკო ყვავილს, რომლის ქვეშაც გველნი ბუდობენ - ასე დაგვიბარა ლედი მაკბეტმა.

მე კი მგონია, რომ ლედი მაკბეტი ლამაზი იყო, უამისოდ ის აქამდე ვერ მოაღწევდა.

დანარჩენი მომანდეთ მე, ვინც ცდილობს და მოგინოდებთ, გაუგოთ ლედი მაკბეტს.

ყველა მომხიბვლელი ადამიანი გაფუჭებულია. სწორედ
ამაში იმალება მათი მიმზიდველობაც.

ოსკარ უაილდი


დარეჯან ცბიერის კორტრეტი

მაშინ, როცა თხა არ კიკინებს და კატა არ კნავის, სამყაროს
მართავს და ალამაზებს ქალი.

არ არსებობენ მსუბუქი და მძიმე ქალები, არსებობენ შემდგარი და
არშემდგარი ქალები.

ქალი ცუდი და კარგი კაცების შემოქმედეა. ესთეტიური მრწამსი
ერთი აქვს: როგორ და არა, - რა.

ეს მოთხრობაზეც ამაზეა: როგორ.



მხატვარი: ვაჟა სიმონიშვილი

ვარდის ფურცლობა

ბავშვს დარეჯანი დაარქვითო, დარეჯან ბებია დაიჩიემა. შვილმა და რძალმა უარი ვერ შეჰბედეს. ცქნაფა ბავშვს დარეჯანს არავინ ეძახდა და გოგოს სახელიც დაკო გამოდგა.

როგორც კი დაქალდა და დამშვენდა დაკო, მთელ ვაკეს ათროლოებდა. ყოველ დილით ტაბიძის ქუჩიდან ჩაირბენდა ხოლმე ვაკის პარკში სავარჯიშოდ და მონკეპილი სპორტული კოსტუმით კიდევე უფრო აფორიაქებდა იქაურობას.

მეც მაშინ გავიცანი დაკო, როცა სტრესებსა და ზედმეტ წონას ძუნძულით ვებრძოდი ვაკის პარკის მენამულ ბილიკებზე. გამოველაპარაკე და აქეთურ-იქეთურზე ვისაუბრეთ.

გათხოვება-გამოთხოვების შემდეგაც დაკო დილაობით ვაკის პარკში სიარულს არ იშლიდა, ოღონდაც ამ რიტულას სხვა რამეც მიუმატა: მსუბუქი ვარჯიშის შემდეგ ყვავილების იმ მალაზიაში შეივლიდა, სადაც ქორფა ვარდები იყიდებოდა. ერთი ან ორი კოკრით ბრუნდებოდა სახლში.

ვერც ჭორიკანა მეზობლები, ვერც დაკოზე დაშტერებული ვაკელი ბიჭები ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ ყიდულობდა ერთი და იმავე მალაზიაში კინკილა ვარდს.

დაკოს ვარდების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.

დაკო ისეთივე მშვენიერი და უჭკნობია, როგორც ეს კოკრები.

დაკოსთვის ვარდები უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ყვავილები.

დაკო ისეთ თაყვანისმცემელზე ოცნებობს, რომელიც ყოველდღე მართმევეს ვარდებს.

დაკო ისეთივე ლამაზი და ბასრია, როგორც ვარდი და მისი ეკლები.

ვარაუდები იყო, სინამდვილე - მხოლოდ დაკომ იცოდა. მე კი ოდენ საკუთარი ვერსია მქონდა, რისიც ჯიუტად მჯეროდა:

ყოველ დილით, როცა დაკო ვარჯიშიდან შინ დაბრუნდებოდა, ჯერ შხაპს მიიღებდა, მერე აბაზანიდან ხალათმოცმული მიდიოდა თავის ოთახში, კარს გადაკეტავდა და სანამ ახალ საცვალს ამოიცმევდა, ვარდის კოკორს ერთ ფურცელს ამოაძრობდა და ფისოზე დაიდებდა. მხოლოდ ძვირიანი თეთრეულის და ვარდის ფურცლის ამარა უყვარდა

ნახევარსაათიანი ნებივრობა ლოგინში, სწორედ მაშინ ფიქრობდა და ოცნებობდა ყველაზე გემრიელად სიყვარულზე, თავგადასავლებზე და ზოგადად, სკუთარ მომავალზე.

მე ტუტრუცანა გოგო ვარ - ალბათ, ასეთი იყო დაკოს საყვარელი პოზა.

და ასე ახლოდებოდა ახალი პაემანი: ვილაც უთუოდ გადაეყრება დაკოს ქმარს და თავს გადაუჩეხავს. ვილაც უმონყალოდ დაიფერფლება.

ჩემი ფანტაზიით, ფისოში ჩადებული ვარდის ფურცელი ბედნიერების ან უბედურების არომაგია იყო.

ამბავიც ყვავილივით იფურჩქნებოდა.

ფრენსის მაკომბერი

კომპანიამ საერთაშორისო გრანტი მოიპოვა ერთნლიან პროგრამაზე. კურსი ინგლისურ ენაზე, ამერიკელი ლექტორები, სტუდენტები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, ზოგიც აზერბაიჯანიდან - სწავლის პირველივე დღეს აღმოვაჩინე, რომ დაკო ჯგუფში ყველაზე ლამაზი გოგო იყო. საკუთარ შარმს კალათბურთელი შუტერის სიზუსტით ტყორცნიდა საშუალო თუ შორ დისტანციაზე.

ვეტრფოდი დაკოს. ურთიერთობაში უშუალო იყო და თითქოს იოლად მოსაპოვებელიც, ოღონდაც სანაცვლოდ რაღაცას ითხოვდა და ვერ ვხვდებოდი - რას.

- ყოფილი ქმარი არანორმალურია, ვისაც კი მოვენონე, ყველას ცხვირ-პირი დაუნგრია. მამაჩემს მანქანის საბარგულში ბეისბოლის ბიტა უდევს მის მოსაგერიებლად.

ასე გამოგვიცხადა ჯგუფის გოგო-ბიჭებს დაკომ.

ერთხელაც, როცა ხუთი ლექცია მოვისტუმრეთ და სახლში გემრიელი სადილისთვის მივიჩქაროდი, დაკო წამომენია.

- ნუ გარბიხარ, დამელოდე, მეტროს ჩასასვლელამდე ერთად მივიდეთ - მითხრა გოგომ.

მეუცნაურა და გამიხარდა, თუმცა დაკოს საამურ მოახლოებას მანქანის ძრავის ხმა გასდევდა აკომპანიმენტად.

- გაჩერდი და მომისმინე! ჩაჯექი, სალაპარაკო მაქვს!

შავი ჯიპიდან გაისმა ხმა მკაცრი და საშიში. ბიჭი კრიმინალურ ავტორიტეტად წარმოვიდგინე. ან მანქანით გადაგვივლის მე და დაკოს, ან იარაღს მესვრის.

ერთი სიტყვით, შემეშინდა.

იგრძნო რა ჩემი სიმხდალე, დაკო განზე გახტა, ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადავიდა. ბიჭი მანქანიდან გადმოვიდა და გოგოს გაეკიდა.

ყოფილი ქმარი ცოლთან საქმეს არჩევს და მე როგორ ჩავერეოდი - უნამუსოდ ვცდილობდი ჩემი სიმხდალის გამართლებას.

მეორე დღეს დაკომ მაღლიანად გამიღიმა. მშიშარა რომ ხარ, ჯგუფში არავის არ ვეტყვი, უშენოდაც შემიძლია საკუთარი პრობლემების მოგვარება - ასეთი იყო ამ ღიმილის სუბტიტრები.

ბოლო ლექციის შემდეგ კი ტელეფონზე მესიჯი მომწერა: სილამაზე სიმამაცის ჯილდოა!

მიუხედავად ამ ყველაფრისა, დაკოსთან მეგობრული ურთიერთობა გრძელდებოდა. ბევრ რამეში თანამოაზრეები გამოვდექით, შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფში ყველაზე ახლოს სწორედ მასთან ვიყავი და ეს სიახლოვე ძალიან მსიამოვნებდა.

- იცი, ის ბიჭი არ იყო ჩემი ყოფილი ქმარი, უბრალოდ განქორწინების შემდეგ რამდენიმე თვე ვცხოვრობდი მასთან. ახლა არავინ არ მყავს, ვიცი რომ ზოგი ქალი იოლადა ეგუება მარტოობას და დაქალბთან აქეთ-იქეთ წონიალით ცდილობს, ყველას დაანახოს, რომ ქმრის ან მეგობარი კაცის გარეშეც ბედნიერია. არ მიყვარს ყალბი ადამიანები. როცა კარგად არ ვიქცევი, საკუთარი თავიც არ მიყვარს.

- ზოგჯერ მეც არ მიყვარს საკუთარი თავი, მაშინ რომ ვერ დაგიცავი იმ ბიჭისგან, ამას დღემდე განვიცდი.

- ჩვენი აზერბაიჯანელი კურსელი, ლალა ჰასანოვა არ მოგწონს? ვნებიანი გოგოა, ეშხიანი...

- მე შენ მომწონხარ.

- სასიამოვნოა ამის მოსმენა, მაგრამ მეგობრულად გირჩევ, ლალაზე გადაერთო, შარში მაინც არ გაგხვევს.

დაკოსთან ამ საუბარმა დამაფიქრა და დამამძიმა.

ამასობაში გამოჩნდა დაკოს ყოფილი ქმარიც. კურსელებს პირველი წვეულება გვქონდა, როცა როგორღაც გაიგო დრო და ადგილი და დაუპატიჟებლად გვესტუმრა.

კარგად ნაკვები, ღონიერი, მელოტი და დაბლვერილი ახალგაზრდა

კაცი ყველას საგულდაგულოდ გვაკვირდებოდა. აბა, ყველაზე უფრო ვის მოგწონთ ჩემი ყოფილი, ლამაზი ცოლი? იქნებ რომელიმე გამო-მიტყდეს და ლაზათიანად მივბეგვო!

წვეულებამ ექსცესების გარეშე ჩაიარა.

მეორე დღეს ჯგუფის გოგო-ბიჭებმა ბევრი ვილაპარაკეთ და ვიცინეთ დაკოს ქმარზე, მეტსახელიც შევურჩიეთ: ხაშლამა.

- რა უბედურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, აქ ქმარს განქორწინების შემდეგაც ჰგონია, რომ ცოლი ისევ მისი საკუთრებაა - მითხრა დაკომ და ესეც დაამატა - თუ როდესმე ისევ დავინწყებ ახალ ურთიერთობას, ჩემი რჩეული ან უცხოელი იქნება, ან ძაან ევროპელი ქართველი.

ხაშლამა არ ისვენებდა. ჯგუფში ვინც კი ბიჭი იყო, ყველას დაუმეგობრდა, ყველას ჩემ გარდა. იმდენი მოახერხა, რომ ბიჭები უკვე მას თანაუგრძნობდნენ და მეც მითხრეს, დაკოს ყოფილი ქმარი ძალიან კარგი ადამიანი, თვითონ დაკოა რალაცნაირი, ცოტა ბოზანდარა გოგო და სწორედ ამისა გამო დაინგრა მათი ოჯახიო.

მომდევნო წვეულება: ზედაზენის მონახულება და პიკნიკი. ცხადია, ხაშლამაც მოვიდა, უკვე გაშინაურებული ჯგუფის ბიჭებთან. კარგი ღვინო გვექონდა, თუმცა მე არაყი ვამჯობინე, სწრაფად და მწარედ დათრობა მომინდა. ის, ძველი სამარცხვინო ამბავი არ მაინწყდებოდა და ახლა ამ ყველაფერს ყოფილი ქმრის თავხედური საქციელიც ემატებოდა.

შებინდებულზე მთვრალი კურსელები დაქირავებულ ავტობუსში ავედით, ზედაზენზე საკუთარი მანქანით მოსული ხაშლამაც შეზარხოშდა და ისიც ავტობუსში ამოიძურნა. აბა, ნასვამ ცოლს ხო არ დატოვებდა მარტო მთვრალ ბიჭებთან?!

თბილისისკენ დავიძარით. ხაშლამის მანქანა კი მარტო დარჩა ნასუფრალთან და ლამაზ ბუნებასთან.

სასმელი ავტობუსისთვისაც შემოგვრჩა. ღრეობას ვარგრძელებდით, როცა ხაშლამა ჩემკენ წამოვიდა და დამიღრიალა: ვინც დაკოს სახვანაირად შეხედავს, იმის დედას...

რაც კი ჯანი და ბრაზი მქონდა, მარჯვენა მუშტში შევკარი და ისეთი ჰუკი ვთხლიშე ხაშლამას, რომ ასოცკილოიანი კაცი შეტორტმანდა. გამშველებელი ბევრი აღმოგვაჩნდა და მუშტი-კრივიც ველარ გაგრძელდა.

თბილისში ჩასული ავტობუსიდან პირველი მე ჩამოვედი და ხაშლამას დავემუქრე. ისიც არ ჩამომრჩა, მეორე დღისთვის დავთქვით შეხვედრა.

ჩემი უბნის ბიჭებს დაფურეკე და ხაშლამა იოლად მოვძებნეთ სხვა უბანში. შეხვედრაზე ქმრის მეგობარი ქუჩის ბიჭებიც მოვიდნენ. როგორც ხდება ხოლმე, რამდენიმე საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა. ყველაფერი პაციფისტურად დასრულდა. მე და ხაშლამამ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ყოფილი ქმარი ყველამ დაარწმუნა, რომ დაკოსთან არანაირი სასიყვარულო ურთიერთობა არ მქონდა და რომ ახლა ისეთი დროა, რომ თურმე შესაძლებელია, თანაკურსელი გოგო და ბიჭი უბრალოდ მეგობრობდნენ და მეტი არაფერი.

მესამე დღეს ლექციებზე ისე მივედი, საკუთარი თავი თეთრ ცხენზე წარმოვიდგინე. მადლობა ღმერთს და მერე, მადლობა არაყს! ასეთი იყო ჩემო გამოძახილი. კურსელებიც და ლექტორებიც მეტი პატივისცემით მეპყრობოდნენ.

შენ ხარ ზიგფრიდი, რომელმაც დრაკონი დაამარცხა - ეს უკვე ლა-ლა ჰასანოვას სიტყვები იყო.

დაკომ საყვარელი ღიმილი მაჩუქა, არაფერი უთქვამს, თუმცა ვგრძნობდი, რომ მალე რაღაცას მეტყოდა. ლექციების დასრულებისთანავე მესიჯი მომწერა: ყოჩაღ! მაგრამ მე უკვე გრეგს ვხვდები.

გრეგი ჩვენი ამერიკელი ლექტორი იყო, მოვლილი, შუა ხნის კაცი, ტიპიური დემოკრატი ლონგ აილენდიდან.

დამსმენი კურსზე არაერთი აღმოგვაჩნდა და ხაშლამამ მალე გაიგო ეს ამბავი. გრეგს სადარბაზოსთან ჩაუსაფრდა და კბილები ჩაუმტვრია. ამერიკელმა პოლიციამი იჩივლა. დაკოს ყოფილი ქმარი დაიჭირეს. ხაშლამამ ციხიდან დაიქაძნა, მალე გამოვალ, დაკოს და გრეგს ერთმანეთს დავაკლავო.

მოთხილი მჭადი

დაკო ჯგუფში ყველაზე ლამაზი გოგო კი იყო, მაგრამ პოპულარობას თანდათან კარგავდა. და ვინ იყო მისი კონკურენტი?

ელა, ქუთაისელი გოგო, რომელიც რამდენიმე წელი ბაქოში ცხოვრობდა და მერე თბილისში გადმოსახლდა.

ელა საოცრად მუსიკალური იყო, წვეულებებზე მიუსხდებოდა ხოლმე პიანინოს, დოლი პარტონის და ბილი ჯოელის სიმღერებს შესანიშნავად ასრულებდა. მის ხელში ხელოვნება ის იარაღი იყო, რითაც

დაკოს სილამაზეს აჩანაგებდა. ვაკელი გოგოს მშვენიერება თითქოს ფუტურო აღმოჩნდა, - განწირული ხორცი და მეტი არაფერი.

ელამ უპირატესობა კი მოიპოვა, თუმც ეს საბოლოო გამარჯვებას მაინც არ ნიშნავდა. ქუთაისური კილო ამის საშუალებას არ აძლევდა. ერთხელ, ცოტა არ იყოს, უტაქტოდაც კი შეეკამათა ლექტორს და დაკოსაც მეტი რა უნდოდა: ელას ზასტავადან ჩამოთრეული უნოდა. შეფასება კურსის სხვა, თბილისელ გოგობსაც მოეწონათ.

დრო გადიოდა, ბრძოლა გრძელდებოდა, ელა მაინც წინ იყო ამ დაპირისპირებაში, ვოკალი და პიანისტის ტექნიკა ამარცხებდა თბილისურ კუდაბზიკობას. დაკოც თითქოს ეგუებოდა მარცხს, სანამ ფრონტის ხაზზე ელას ქმარი არ გამოჩნდა.

თვალეზჩაცვენილი წითური, უჟმური ბიჭი, რომელიც ხმას მანამ არ ამოიღებს, სანამ ამის უფლებას ცოლი არ მისცემს, შეუხედავი, შეიძლება ითქვას, ძალიან არასასიამოვნო ადამიანი შარვალში ჩატანებული პერანგითა და წვეტიანი ფეხსაცმლით - ასეთი იყო ელას რჩეულის პორტრეტი.

ქმარიც ცოლივით უქცევდა ქუთაისურს.

მაშ, რატომ შეიქნა ის ელას ქმრად? მალევე გაირკვა, რომ საიდუმლო მის წითურ თავში იყო: ბიჭი ბაქოში BP -ს მთავარი პორგრამისტი ყოფილა, იმდენი ფული უშოვია, რომ ელამ თბილისში აყიდინა ბინა, ვაკის ბევრად უკეთეს ადგილას, ვიდრე ტაბიძის ქუჩაა.

წითური მაინც არავის არ მოგწონდა, ისეთია, კაცი მჭადს არ მოუტეხავს და მეტსახელიც შევურჩიეთ: მჭადი.

მწარედ შეცდა ელა, ქმართან ერთად რომ დაიწყო წვეულებებზე მოსვლა. ამან ამერიკელთან გამიჯნურებულ თბილისელ გოგოს კონტრშეტევაზე გადასვლის საშუალება მისცა და გაიმარჯვა კიდევც.

არანაირი ზასტავა! ჯგუფში ნომერ პირველი ისევ დაკოა ალისფერი ტუჩებით!

საქართველო აღარ იყო ნიკოფსიიდან დარუბანდემდე, საქართველო იყო მრგვალი ბალიდან ვაკის პარკამდე.

ამერიკული ოცნება

ერთნლიანი კურსი დასრულდა. მიმოვიფანტეთ. დასრულდა დაკოს-თან მეგობრობაც, რამეთუ საერთო აღარაფერი გვექონდა.

ეს ლამაზი გოგო მაშინ გამახსენდა, როცა შავ მუშად დავდექი ბრუკ-ლინის ერთ-ერთ სანყოფინში და ლალა შემეხმინა მესინჯერით. მომი-კითხა და გაიგო რა, რომ ამერიკაში ვიყავ, მყის დამირეკა.

- ალბათ დაკოსაც ნახავდი მანდ?

- არა, არც კი ვიცოდი, რომ აქ იყო, ამერიკაში.

- ხო, მანდ არის, კურსელებიდან მხოლოდ ჩემთან აქვს მიმონერა.

- ასეთი რა მოხდა?

- გრეგის დახმარებით ჩაურტყეს ვიზა და გაჰყვა კიდეც გრეგს ამე-რიკაში, თუმცა ახლა მასთან აღარ ცხოვრობს.

- ალბათ დაკოც ჩემსავით ნიუ იორკშია, რადგან სხვაგან ემიგრან-ტებისთვის სამუშაო ძალიან ჭირს.

- არა, დაკო ჩიკაგოშია.

- თუ იცი ტელეფონის ნომერი, მომწერე, დავურეკავ.

- კარგი, მოგწერ ნომერს და დაურეკე, დანარჩენი კი ჯობია, რომ თვითონ გითხრას.

- რა ხდება, არ მეტყვი?

- დაურეკე...

დაკო რალაცნაირად, სერიოზულად მელაპარაკებოდა, ამბები გამომ-კითხა, დაინტერესდა ჩემი ამერიკული ცხოვრებით.

- შენ რას აკეთებ ჩიკაგოში?

- ძირითადად სახლში ვარ, ქმარი მუშაობს, საკმაოდ კარგი შემოსავალი აქვს და აღარ არის იმის აუცილებლობა, რომ მეც ვიმუშავო. უქმეებზე ჩი-კაგოდან გავდივართ, ორი დღით ვქირაობთ სახლს ერთ-ერთ აგარაკზე.

- იმედია ეს ქმარი ისეთივე ეჭვიანი არ არის, როგორც ყოფილი...

- რა თქმა უნდა, არა, ძალიან კარგი ადამიანია.

- ვინ არის? ალბათ, ამერიკელია, მახსოვს რომ მითხარი, თუ ისევ მექნება სერიოზული ურთიერთობა, ან უცხოელთან, ან ძაან ევროპელ ქართველთანო...

- ლალამ ჩემი ტელეფონის ნომერი რომ მოგცა, არ გითხრა ვის გავყევი ცოლად?

- არა.

- კარგი რა, რა საჭიროა ასეთი ტყუილი?

- ლალას მართლა არაფერი უთქვამს შენს ქმარზე.

- ახლა გარეთ უნდა გავიდე, სხვა დროს ვისაუბროთ.

გულმა არ მომიტმინა და ლალას დავურეკე.

- თქვენ, ქართველებმა მჭადი რომ შეარქვით ელას ქმარს, სწორედ მაგას გაჰყვა დაკო ცოლად ჩიკაგოში.

- კი მაგრამ, როგორ?...

- როგორც კი გრეგს დასცილდა, ელას ქმართან დაუწყია მესიჯობა. ამ ბიჭსაც მეტი რა უნდოდა: ამერიკა, ლამაზი თბილისელი გოგო, რომელიც ისე მკაცრად და დამამცირებლად არ მოექცეოდა, როგორც ელა. მიატოვა მომღერალი ცოლი და გაიქცა ამერიკაში. დაკოს საქციელს გამართლება არ აქვს, მაგრამ რა ჩვენი საქმეა სხვისი პირადი ცხოვრება? აგერ მე ხნიერი ნორვეგიელი კაცი გავიცანი ბაქოში, ხელის გულზე მატარებს, მდიდარი მენავთობეა თავის ქვეყანაში და დიდი ალბათობით, მეც საზღვარგარეთ გავაგრძელებ ცხოვრებას.

ერთხელაც დაფიქრდი და დავმძიმდი. მერე კი ნაზიმ ალახვერდიევი გამახსენდა, ასევე ჩვენი თანაკურსელი. მეგობრული და ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო ბიჭი იყო, ხაშლამამაც იოლად დაიმეგობრა. ნაზიმს საკუთარი, ძალიან მკაცრი შეხედულებები ჰქონდა. არ მოსწონდა ლალა იმის გამო, რომ ქართველ ბიჭებს ეპრანჭებოდა. ერთხელ ისიც კი მითხრა, ლალა აზერბაიჯანელი არ არის, უბრალოდ აზერბაიჯანული გვარი აქვსო. ჩავეკითხე და ჩავეძიე. ნაზიმმა ასე ამიხსნა ვითარება: მთავარია დედა, ლალას დედა კი არ არის აზერბაიჯანელი.

მე არასდროს დაფიქრებულვარ, რა ეროვნების იყო დაკოს დედა. თუმც ნაზიმის აღმოსავლურმა თეორიამ მართლაც დამაინტერესა. თურმე სად არ ცდილობენ მიაგნონ სინამდვილეს.

გავიდა რამდენიმე დღე და დაკოს დავურეკე.

- ლალამ ყველაფერი მითხრა. შენ და მჭადი? ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

- თავის დროზე მეც ვერ წარმოვიდგენდი, რომ მშიშარა იქნებოდი.

- მაინტერესებს, როგორ მოახერხე ეს ყველაფერი? ალბათ ამერიკამდე ეფლირტავებოდი მჭადს და ჩვენ, კურსელებმა არაფერი არ ვიცოდით...

- საერთოდ რამე იცი? რამდენადაც მახსოვს, ერთი ჩვეულებრივი ნარცისი იყავი, რომელსაც თავი იმით მოგქონდა, რომ დანტე და გოეთე წაგიკითხავს. და ახლა, ბრუკლინის რომელიღაც თხრილში რომ მუშაობ, იქნებ მითხრა: დანტეს კომედიის რომელ სიმღერას მღერი? ჯოჯოხეთის რომელ შრეში ხარ?

- ცოლი არავისთვის არ წამირთმევია...


- მე კი წავართვი ელას ქმარი, რადგან მშვიდი და თვინიერია, ფულსაც შოულობს და ძალიან ვუყვარვარ.

- და როგორ მოახერხე ეს? როგორ გააღვიძე მჭადში ეშმაკები?

- სილამაზე, სანამ ვარდივით არ დაჭკნება, ყველაფერზე მალლა დგას ჩემო კარგო. სულ ეს არის. დანტე და გოეთე კი უსარგებლოა. შეხედე საკუთარ თავს: კარგად ინფორმირებული იდიოტი ხარ და მეტი არაფერი.

თერმომეტრი, მანომეტრი, გლუკომეტრი, სპიდომეტრი... რითი, რა ხელსაწყოთი უნდა გაიზომოს დაკოს მოქნილობა და ვერაგობა, ამ ქალის ჭარბი ექსტროგენი?

საკითხავი, აი, ეს არის.



მხატვარი: ვაჟა სიმონიშვილი

საუკეთესო ნაჭერი

ნადიას ბებიას ყველასაგან განსხვავებული ჩანთა ჰქონდა, პლასტმასის სახელურებით, სანვიმარი მატერიისგან შეკერილი, თხელი და მსუბუქი. ოჯახში ამ ჩანთას საკუთარი სახელი ჰქონდა: პურის ჩანთა. სხვა სანოვაცისთვის მას იშვიათად თუ გამოიყენებდნენ და ისიც მხოლოდ ნადია ბებიას ნებართვით. ასეთი ჩანთები აღარ იყიდებოდა, ასეთ ჩანთებს აღარ კერავდნენ, ჩანთა ძალიან ძველი იყო, თუმც კარგად შენახული და მოვლილი.

ნადია ბებიას იმ აივანზე უყვარდა გასვლა, საიდანაც კორპუსის ეზო ჩანდა, სადაც მეზობლები მიმოდოდნენ და მანქანებს აჩერებდნენ. ნადია ბებია ყოველ დილით მიდიოდა მაღაზიაში თავისი ჩანთით პურის საყიდლად. გაუხარდებოდა, თუ გზად რომელიმე მეზობელი შეხვდებოდა და გამოელაპარაკებოდა, პურის გამყიდველთან საუბარიც დიდად ახარებდა.

ჩანთა და მოხუცი განუყრელი მეგობრები იყვნენ. პურის გარდა ამ ჩანთაში ნადია ბებიას ცხოვრების ნაკუნები იყო ჩალაგებული, ჩავლილი წლების ქრონიკები, სევდა და სიხარულები.

82 წლის ნადია ბებია ტელესერიალებს არ უყურებდა, საღამოს ცხრა საათზე ახალ ამბებს გაეცნობოდა და ტელევიზორს კიდევ მხოლოდ მაშინ ჩააცქერდებოდა, თუ ფეხბურთი იყო და ხვიჩა თამაშობდა.

რა მაგარი ბიჭია, სულ ბოლო წუთებზე გააქვს გადამწყვეტი გოლები - იტყოდა ხნიერი ქალი და მატჩის შემდეგ კმაყოფილი გასწევდა თავისი ოთახისკენ დასაძინებლად.

ცოლ-ქმარი, 16 წლის ბაჩო და 18 წლის თაკო, ნადია ბებია - ჩეხური პროექტის ოთხოთახიან ბინაში ყველას ჰქონდა საკუთარი კუთხე.

მერაბი და ნატა რომ დაქორწინდნენ, კაცი 35 წლის იყო, ქალი ოთხი წლით უმცროსი. აქედან ცოტა ხანში კი მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: ნატალიას მშობლები განქორწინდნენ.

ნატას მამა ტრაილერის მძღოლი იყო, საქართველოდან რუსეთში და შუა აზიაში ეზიდებოდა სხვადასხვა ტვირთს, ერთი გასვლა ოჯახთან დაახლოებით ერთთვიან განშორებას იწვევდა. ამ ხელობის კაცმა კარგად იცის სად ისადილოს, სად დაისვენოს და სად მოძებნოს კახპა. 57 წლის ვანიკომ ოსეთში ნახა ისეთი ქალი, ოჯახზე უარი რომ ათქმევინა. ზარინა აღნაგობით, მიხრამოხრითა და თვალებით აჯადოვებდა ტრაილერის შოფრებს, ოღონდაც უკარება იყო. ყველა ტრაილერის მძღოლი იცნობდა მიმტან ზარინას ოსური გზის ერთ-ერთ სასადილოში და ყველა ტრაილერის მძღოლმა იცოდა, რომ ზარინა არ იყო კახპა. ასეთი მადიანი ქალი და უკაცოდ? ყველა შოფერს ეს კითხვა უტრიალებდა თავში და ყველა შოფერს ეს გამოცანა კიდევ უფრო უმძაფრებდა ზარინასთან დაახლოების სურვილს. ვანიკომ ჩათვალა, რომ ძალიან გაუმართლა - ზარინამ ახლო მიუშვა, თუმცა პირობაც წაუყენა - ან დავქორწინდებით, ან მხოლოდ კარგი ნაცნობობა შეგვრჩებაო. ზარინამ გაილალა. ვანიკომ ქართულ, ტრადიციულ ოჯახს მოხდენილი ოსი ქალი ანაცვალა, სახლ-კარი უკვე ყოფილ ცოლსა და ვაჟიშვილს დაუტოვა, ნატალიას კი ხუთი ათასი დოლარი აჩუქა, ეს შენი მზითვიაო.

მალე ნატას ძმამაც მოიყვანა ცოლი. დედა ვაჟთან ცხოვრობდა, მარიამი სათნო და ემოციური ქალი იყო, განიცდიდა მომხდარს, ნერვიულობას დიდხანს ველარ გაუძლო და ოთხ წელიწადში ინსულტით გარდაიცვალა ბაჩოს და თავის ბებია.

მჭიდში ჩალაგებული ცუდი ამბებით ნატა დამნუხრდა. ყმანვილქალობაში ბითლზის ფანი იყო, პოლ მაკარტნიზე შეყვარებული, გათხოვების შემდეგაც საძინებელში ოთხეულის სამი პოსტერი ჰქონდა გაკრული, ოჯახის დანგრევის და დედის გარდაცვალების მერე კი ნატაში გარდასახვა მოხდა: სერ პოლ მაკარტნის ფოტოები ჩამოხსნა და კედელზე ხატები ჩამოკიდა, დიდუბის ეკლესიაში დაიწყო სიარული მამა პეტრესთან.

წირვა-ლოცვას არ აცდენდა ნატა, მკაცრად იცავდა რელიგიურ წესებს, ეკლესია იყო მისი ნუგეშიც და სოციალური ცხოვრებაც.

მეგობრები მანამდე შემოეცალა ახლაგაზრდა ქალს: ბავშვობის დაქალები საზღვარგარეთ წავიდნენ და გათხოვდნენ, რამდენიმე წლის შემდეგ კი აღარც ურეკავდნენ ნატას, ალბათ იმიტომ, ფულის გამოგზავნა არ მოგვთხოვოსო. ნატა ამითაც იყო გულგატეხილი.

ნატა მუსიკალურ სკოლაში ვიოლენჩელოზე დაკვრას ასწავლიდა, ეკლესიაში მაგალობელთა გუნდშიც იყო და მუსიკალურ ენერგიას ასეთნაირად ხარჯავდა. ბითლზის ძველ, ვინილის დისკებს ნაგავში არ აგდებდა მიუხედავად იმისა რომ უჩიჩინებდნენ, ჯონ ლენონი სატანისტი იყო, ოთხეული პირველ გასტროლებზე ტრანსექსუალებთან ერთობოდა სანქტ პაულის ჯურღმულებში, შენი საყვარელი მაკარტნი კი კარგა ხანს მარიახუნასაც აბოლებდაო. ცხადია, განსაკუთრებული იერიში მაინც ლენონზე იყო...

ნატას სხვა ფრონტიდანაც შეუტიეს. მშობლების განქორწინების და დედის გარდაცვალების შემდეგ ნადია ბებიაშ რძალი ამოიჩემა, ჩემი შვილის ცოლი უნესო ოჯახიდან ყოფილაო. სამზარეულოში თუ მისაღებში რომ ჩაუვლიდა ნატას, ჩურჩულით მიაძახებდა ხოლმე რაღაც წყევლის მაგვარს. ნატა უპასუხოდ ტოვებდა ამ ყველაფერს, დედამითილთან კონფლიქტს ერიდებოდა. სად წავიდე? ჩემს ძმას ცოლ- შვილი ჰყავს და მასთან საცხოვრებლად ვერ გადავალ. დედა ცოცხალი აღარ არის. სახლი რომ ვიყიდო, სახსარი არ გამაჩნია. უნდა მოვითმინო. ლოცვა დამეხმარება, ღმერთი არ მიმატოვებს.

ნატალიას საუკეთესო მეგობარი მისი დეიდაშვილი, გაუთხოვარი ლაურა იყო. კვირა ისე არ ჩაივლიდა, ერთმანეთი ტელეფონით მაინც რომ არ მოეკითხათ.

- ყველაფერი კარგად იქნება, შეგიძლია მერაბსაც მოუყვე, თუ როგორ გწყევლის დედამთილი.

- არა, ქმარი ყოველთვის დედას გაამართლებს, იმის იმედი მაქვს, რომ ნადიას სიძულვილი მალე გაივლის, მოხუცია, რაც დრო გავა, მოტყდება, დატკბება და დაცხრება.

- არა მგონია, აქ მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: უნდა დაელაპარაკო მერაბს.

მერაბი საღამოს რვა საათისთვის ბრუნდებოდა სამსახურიდან. სახლის კარს თვითონ იშვიათად თუ გააღებდა, ზარს დარეკავდა, ორ- სამჯერ მიაჭერდა ლილაკს. ნატალია ცნობდა ქმრის ზარს და ყოველთვის უნდოდა, შვილებისთვის და ნადიასთვის დაესწრო კარის გაღება.

ოჯახი გვიან ვახშობდა, ნატალიას მომზადებულ სადილს ცხრა საათიანი ახალი ამბების დაწყებამდე შეექცეოდნენ. იმ დროისთვის ნადია ბებია თავის ოთახში იყო და ყოველკვირეულ გაზეთს

კითხულობდა. ყოველ ორშაბათს მოჰქონდა მერაბს ეს გაზეთი მისთვის და ნადიაც ერთი კვირა იზოგავდა მას, გაზეთის სრულად ნაკითხვა ზუსტად შვიდ დღეზე ჰქონდა გათვლილი.

ვანშმისას ბაჩო და თაკო ხშირად კამათობდნენ მშობლებისთვის ახალ და უცნაურ საკითხებზე.

- ქუჩის ძაღლებს ველოსიპედისტი დაუკბენიათ ახლადმონყობილ სკვერში, ეს დებილი გოგოები კი ასეთ ძაღლებს იხუტებენ და ბუდრუგანებსაც უშენებენ. მანანნალა ძაღლების მოშენება ახალი სპორტია თბილისში.

- ვინ დებილი გოგოები? - ჩაეკითხა თაკო ბაჩოს.

- უკაცოდ დარჩენილები, ვისაც შეყვარებული ან ბოიფრენდი არ ჰყავს, ვინც ქმარს გაშორდა და სხვა კაცებისკენ აღარ იხედება.

- რა იდიოტური დასკვნებია!

- პირიქით, ზუსტი დასკვნებია. მეძალღე ქალებს ერთი ტექსტი აქვთ: ყველა კაცი ბინძური ღორი და მოღალატეა, ძაღლი კი საყვარელი და ერთგულია. უკაცო ქართველი ქალების უცნაური სიყვარული ქუჩის ძაღლების მიმართ უკვე ტრენდია.

- და თინეიჯერი თუ ცოლშვილიანი ბიჭები ტრანსგენდერებთან რომ დაძვრებიან, ეს არ არის ტრენდი? ესკორტის საიტებზე იმდენი ტრანსგენდერია, რომ გასაგებია, რა თავგადასავლებიც აქვთ ქართველ ვაჟკაცებს.

- ხო, ოღონდაც ქართველმა ქალებმა სხვა ტრენდიც შექმნეს. როგორ ფიქრობთ, რატომ დადიან ასე ხშირად ქართველი გოგოები ევროპაში? ვისაც კი ხელფასი ორი ათას ლარზე მეტი აქვს, თითქმის ყველა ქართველი ქალი თვეში ერთხელ მაინც ჩადის ევროპაში სამი დღით. შაბათ-კვირა უქმეა, ერთ დღესაც გამოსთხოვენ უფროსს და ქუთაისიდან ფრი, Free! რატომ, არ გაინტერესებთ?

- აქაც რაღაც სისულელეს გვეტყვის ახლა ჩემი ძმა.

- არა თაკო, მხოლოდ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ: ასე ხშირად ჩვენი გოგოები ევროპაში დაკუნთული ზანგი ბიჭებისთვის ჩადიან, ბერლინის რომელიღაც კლუბის დარქ რუმში ორმოცდაათ ევროს გადაიხდიან და სხვა რამის გარდა ცნობისმოყვარეობასაც იკმაყოფილებენ. ზომები და რაღაც სხვა, განსაკუთრებული: ასეთნაირად აქვთ ვნება აშლილი ორიათასლარიან ქართველ გოგოებს აფრიკელებზე.

- რა დეგენერატრი ხარ! უთხრა თაკომ და გაჩუმდა. მერაბმა და ნა-

ტაილამ ერთმანეთს გადახედეს. ბაჩოს უხაროდა, კიდევ უფრო მადიანად მიირთმევედა მანვნის სუფს.

ლოგინში, მერაბის მკლავს თავი რომ დაადო ნატამ, მერეღა უთხრა ქმარს:

- ხედავ, როგორი თაობა წამოვიდა, სხვანაირი, გაბედული, დაკვირვებული, განათლებული...

- მართალია, ახლა სხვა დროა...

- როგორ ფიქრობ, რაც თაკომ და ბაჩომ ილაპარაკეს, სიმართლეა?

- ალბათ, კი. მეც ხომ ვაკვირდები იმას, თუ რა ხდება და როგორ იცვლება ყველაფერი.

ნადია ბებია მეზობლებზე აივნიდან დაკვირვებას და რძლის ჩურჩილით წყევლას აგრძელებდა. მერაბთან დაიჩივლებდა, წამიყვანეთ კიკეთში, იქ კარგი ჰაერია, დავბერდი და ჰაერის ხშირი გამოცვლა ჩემთვის აუცილებელიაო. კიკეთში ნადიას მამიდაშვილი კატო იყო გათხოვილი. შუშის ღუმელთან მუსაიფი, ძველი ამბების გახსენება და გარდაცვლილ ნათესავებზე ლაპარაკი იყო მათი შეხვედრების მთავარი მიზეზი. მერაბმა ვერა და ვერ მოიცალა კიკეთში ნადიას წასაყვანად. მოხუცი ჯუჯღუნებდა. ერთხელ ნატალიას ასეთი რამეც კი მიაძახა: როგორ მეჯავრებიან ქმრისგან განაგდები ქალები! ნატას უმაკიაჟო სახე ცრემლებით დაუსველდა, საძინებელში გაიქცა, კომოდის უჯრიდან დედის ფოტო ამოიღო და გულში ჩაიკრა. საძინებლის კარი ბოლომდე მიხურული არ იყო და ბაჩომ ყველაფერი ეს დაინახა.

დედის ცრემლებით დასველებული გარდაცვლილი ბებიის ფოტო - ბიჭისთვის ეს პირველი მძიმე სურათი იყო მონიფულობაში, კულულასავით ჩახვეული გულში და ამოქმიტინდა შურისძიების მძაფრი სურვილიც. აღმოჩნდა, რომ ბაჩოს მარიამ ბებია ნადია ბებიაზე მეტად უყვარდა. ბებიები არც მშობლებს გვანან და არც შვილებს, ბებიებს თურმე ანსხვავებენ. ბაჩომ ნადია ბებიას კუდიანი დედაბერი შეარქვა. თითქოს ხუმრობით შეარჩია ასეთი დეფინიცია, თუმც ამ სიტყვებს მკაცრი მნიშვნელობა უფრო ჰქონდა, ვიდრე იუმორის ნიშანწყალი.

ნუ აწვალე და აჯავრე ბებიას ასეთი სიტყვებით, მოხუცია, მალე მოკვდება და მერე გული ძალიან დაგწყდება შენი საქციელის გამო - გააფრთხილა მერაბმა შვილი.

ნადია კიდევ კარგა ხანს იცოცხლებს, ბოროტი ადამიანები გვიან

კვდებიან, მარიამ ბებია კი სამოცდახუთი წლისაც არ იყო, რომ დაგეტოვო, - ასეთი იყო 16 წლის ბიჭის ფიქრი.

ბაჩოს ახლა კიდევ უფრო ხშირად აგონდებოდა მარიამ ბებია, თუ როგორ დაჰყავდა ბებიას ბაღში და სკოლის დანყებით კლასებზე, თუ როგორ გამოიმეტებდა პენსიისგან დაზოგილ ფულს ტკბილეულისთვის და ბაჩოს ძვირიანი ტანსაცმლისთვის, თუ როგორ ეფერებოდა და ზრუნავდა მასზე. იყო ერთი ისეთი ამბავიც, სულ რომ ახსოვდა და ყოველთვის რომ ებლაუჭებოდა გულს: ექვსი წლის ბაჩო ნადია ბებიას საყვარელი აივნოდან იყურებოდა და დაინახა მობერებული ქალი, რომელიც მარიამ ბებიას მიამსგავსა.

- დე, მარიამ ბებია დავინახე, ჩვენს სახლს ჩაუარა, ჩავიდეთ, დავეწიოთ და სახლში ამოვიყვანოთ.

- მარიამ ბებია ვაზისუბანში ცხოვრობს, ჩვენ საბურთალოზე ვართ და აქეთკენ რომ გამოსულიყო, აუცილებლად გაგვაგებინებდა.

- არა, ზუსტად ის იყო, ისეთივე პალტო ეცვა, მუქი ლურჯი, ასეთი მხოლოდ მარიამ ბებიას აქვს და საერთოდ ყველაფრით მარიამ ბებიას გავდა.

დედამ შვილს ხელი დაადვლო და გარეთ გავიდნენ, სირბილით გაეკიდნენ ლურჯპალტოიან ქალს, რაც უფრო უხალოვდებოდნენ, ბაჩოც უფრო და უფრო იჯერებდა, რომ ის ქალი მარიამ ბებია იყო. ორი გზაჯვარედინის შემდეგ როგორც იქნა, მიუახლოვდნენ ქალს და გახარებულმა ბაჩომ ორივე ხელი მიადო ზურგზე: ბებიკულა, აბა გამოგვხედე!

საწყალი, დარდიანი სახე ჰქონდა ბაჩოს, როცა ლურჯ პალტოში სხვისი ბებია დაინახა. ნატალიამ შვილი გულში ჩაიკრა. ბიჭის ცრემლები საფეთქლებიდან ყურში და ყელში ჩასდიოდა ქალს. შინ დაბრუნებული ბაჩო ოთახში ჩაიკეტა და უკვე ბალიშს ასველებდა.



რალაცნაირი, მძიმე და ნაცრისფერი იყო ის შემოდგომა, რასაც უთოვლო ზამთარი მიჰყვა.

დეკემბერი ისე იწურებოდა, მერაბმა ნადიას კიკეთში წაყვანა ისევ ვერ მოახერხა. ამასობაში მხნე და უტეხი მოხუცი უცბად დაუძლურდა, საპირფარეომოძე მისვლაც კი გაუჭირდა, ლოგინად ჩავარდა. ექიმი მოუყვანეს.

- ცერებრალური დამბლა უნდა იყოს, კარგი იქნება თუ კლინიკაში გადაიყვანთ.

შვილიშვილებმა ბებიას ნივთები შეაგროვეს. ბაჩომ თავისი საყვარელი სპორტული ჩანთა გამოიმეტა და იქ ჩაალაგა ნადიას ტანსაცმელი, ბებიას საყვარელი გაზეთიც იქ ჩადო. თაკოც აფორიაქდა, ლოყებს უკოცნიდა ნადიას.

შენ ჩემი პირველი შვილიშვილი ხარ - დიდი სითბოთი უთხრა ბებიამ გოგოს და მერე ესეც დააყოლა - ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს, რამე საჭმელი მომიტანეთ, სანამ საავადმყოფოში გადამიყვანთ, იქნებ ცოტათი მოვლონიერდე.

ნატალია სამზარეულოში გაქანდა, საუკეთესო, ნაბლის თაფლი ეგულებოდა, სუფრის კოვზით გააზავა წყალში და ნადიას მიუტანა.

- შენ გაგახარებს ღმერთი, როგორ მესიამოვნა ეს გემრიელი, თაფლიანი წყალი.

სულ რალაც რამდენიმე წამი და რძალმა დედამთილს ყველაფერი აპატია. ათასი ატმოსფეროს ძალა აღმოაჩნდა ნადია ბებიას ამ სიტყვებს.

ამასობაში მერაბმა მანქანა სადარბაზოსთან, ლიფტთან ახლოს მიაყენა და სახლში რომ მიბრუნდა დედამისის საავადმყოფოში წასაყვანად, ნადია გარდაცვლილი დახვდა.

ნატალია ტიროდა. ბაჩო თაკოს ეხუტებოდა. მერაბმა ფანჯარაში გაიხედა, ძალუმად შემოჭრილი ბავშვობის კადრები გადაათვალიერა და აქვითინდა.



ახალი წელი ახლოვდებოდა. რადგან ორმოცი გასული არ იყო, ტელევიზორს მხოლოდ ახალი ამბებისთვის თუ ჩართავდნენ. მერაბმა გოჭი და ინდაური იყიდა.

- საახალწლო სუფრა მაინც უნდა გავშალოთ, თუ ნადია იქიდან გვიყურებს, ასე გაუხარდება.

31 დეკემბერს მერაბმა ცოლ- შვილს უთხრა, რომ ტელევიზორის ჩართვა და გასართობი გადაცემების ყურება ნუ მოგერიდებათ. ოჯახის უფროსმა კარგად იცოდა, რომ შვილები გაჯეტებში ცხოვრობდნენ და ტელევიზორს მათთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ამის თქმა აუცილებლობით იყო გამონკვეული.

- მამაც დეკემბერში გარდამეცვალა. მაშინ კიდევ უფრო მკაცრი და კონსერვატორული წესები იყო, მაგრამ ნადიამ 31 დეკემბერს მაინც ჩაგვირთო ტელევიზორი მე და ჩემს დას, ახალი წელია და ბავშვებმა მოწყენილი სახეები არ დამანახოთო.

ნატალიამ გოჭი საშობაოდ გადაინახა საყინულეში, ინდაური კი ღუმელში შეწვა, თანაბარ ნაჭრებად დაჭრა და სუფრაზე გაიტანა. მერაბს ლიმონათი დაავინყდა და მალაზიაში ჩავიდა. პურზე ბაჩო წავიდა ნადიას პურის ჩანთით. ამ საქმეზე ექსკლუზივი უკვევ მას ჰქონდა გადაბარებული. მოკლედ, სუფრას მხოლოდ ლიმონათი და თონის პური აკლდა.

ნატალიამ დრო მოიხელთა ლაურასთან დასარეკად.

- გილოცავ დამდეგ ახალ წელს!

- მეც გილოცავ! აბა, როგორ მიდის საახალწლი ფაცი- ფუცი?

- გოჭს შვიდ იანვარს შევწვავთ, ინდაური და სხვა ყველაფერი კი მზად არის.

- მეც ძალიან მიყვარს ინდაურის ხორცი და ხვალ გესტუმრები. ვიცი, საუკეთესო ნაჭრები ბავშვებისთვის გექნება გადანახული, მაგრამ არაუშავს, ალბათ ჩემთვისაც შემორჩება რაღაც. მე კი გოზინაყს და კახურ ჩურჩხელებს მოგართმევთ.

- საუკეთესო ნაჭერი მერაბისთვის გადავინახე, მკერდის თეთრი ხორცი უყვარს. საცაა მოვა ლიმონათებით, ზარის ხმაზე ვცნობ, თუ კარს თვითონ გააღებს, ფეხის ხმითაც ამოვიცნობ, სახლში რომ შემოდის, გული მიჩქარდება ხოლმე, ექიმები ამას ტაქიკარდიას ეძახიან.

- რა საოცარი ქალი ხარ!

- რატომ?

- იცი რატომაც...

მეორე დღეს ჩამოთოვა. გასპეტაკებული თბილისი ნატილიას ოჯახს გულს უთბობდა.



მაგდანას
ლურჯა

სარეკლამო სააგენტოს ლაქშერული ოფისი პიქსელის შენობაში მო-
ენყოთ. ეს ის ადგილია, რომელსაც ქალაქელი ხალხი სიცოცხლეს უწო-
დებს. პეიჟასიტი მხატვარი ალბათ სხვაგვარად უყურებს მსგავს
საკითხებს, ჩვეულებრივი ბიურგერი კი იმიტომაც არის ჩვეულებრივი,
რომ აცდენილია ხელოვანის შეხედულებებს. ოფისი ფულის შოვნის
მანქანაა და რადგან ფული იშოვება, სიცოცხლეც აქ არის.

ოფისს თანამშრომლები ქმნიან, ცხადია, უფროსის ხელქვეით. უფ-
როსმა იცის, რომ ყოველი თანამშრომელი სხვისგან განსხვავებული
ადამიანია, თუმცა ბევრს არ ფიქრობს ამის გამო, ჭკვიანია და იმდენს
ხვდება, რომ სარეკლამო სააგენტოს ოფისი არ არის შემოქმედება, ეს
არის მარიფათი და მონდომება. ამიტომაც, არ არის აუცილებელი თი-
თოეული თანამშრომლის სხვადასხვაგვარად ჭვრეტა: აგენტმა ფული
უნდა შემოიტანოს და მორჩა!

ქალბატონი ნათია ამ ოფისის პრიმადონა იყო, მას მოჰქონდა ყველა-
ზე მეტი ფული და იღებდა ყველაზე მეტ საკომისიოს. ოთხი შვილის დე-
და, საქმიანი, მოხერხებული და წარმატებული - ნათიას შთამბეჭდავი
რეგალიები ჰქონდა.

ოფისს სხვა საინტერესო თანამშრომელიც ჰყავდა: ბევრისმნახველი
ერეკლე, ვინც ნათიაზე ადრე შეუდგა საქმეს და როგორც ამბობდნენ,
სხვებზე მეტი ფულიც მოეხვეჭა ამ ხელობით.

ერეკლე ტელევიზიებზე და მთელ ელექტრონულ მედიაზე მუშაობ-
და. ბევრ მდიდარ ადამიანს იცნობდა, ჭირვარამგამოვლილი კაცი იყო,
ყველაფერს საკუთარი შრომით მიაღწია, ცხოვრებას მისთვის არანაი-
რი პრივილეგია არ მიუცია.

ნათიას კი მილიონერი ბიძები ჰყავდა: ერთი მოსკოვში, მეორე - ნიუ
იორკში. ძლიერი სანათესაო, კავშირები მთავრობაში, მხოლოდ და მხო-
ლოდ მდიდარი მეგობრები და ახლობლები.

ნათია ასეთი ჰანდიკაპით უსწრებდა ერეკლეს და ოფისის სხვა თანამშრომლებს, მაგრამ საერთო ჯამში ხომ სამოც წელს მიტანებულ ერეკლეს აგენტობით ნათიაზე მეტი ფული ჰქონდა ნაშოვნის და ნათიაც იძულებული იყო, პატივისცემით მოპყრობოდა მას.

ქალბატონი ნათია მარხვას მკაცრად იცავდა, კვირა დილით ეკლესიაში დადიოდა წირვაზე. აბარებდა აღსარებას და ეზიარებოდა კიდეც. ოფისის თანამშრომლებსაც ასეთი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა და ამის გამო უფრო დაფასებულიც იყო კოლეგებში.

თანამშრომლებთან მუდამ ღიმილიანს, იუმორიც ხელს უწყობდა და ყველას ეგონა, რომ არაჩვეულებრივი გოგო იყო, მხოლოდ ერეკლეს ეპარებოდა ეჭვი ნათიას ადამიანობაში. გამოცდილ აგენტს ჯიუტად სჯეროდა, რომ ნათიაზე ორი ბოროტი ძალა ბატონობდა: ფული და პატივმოყვარეობა.

ნათიამ ოფისში ახალი თანამშრომელი მიიყვანა: ბავშვობის მეგობარი ქუჯი. გულჩათხრობილი, ზედმეტად სერიოზული, თავაზიანი და მორიდებული, სიტყვაძუნწი და ჩაფიქრებული, ერთი სიტყვით, რთული ადამიანი.

- ქუჯი ჩემიანია, პრობლემები აქვს, გაუჭირდა და როგორმე უნდა დავეხმაროთ, - უთხრა ერეკლეს.

ქუჯი გულმოდგინედ, თანმიმდევრულად სწავლობდა ახალ, მისთვის უცხო ხელობას, თუმცა გავიდა რამდენიმე თვე და ერთი რეკლამაც ვერ მოუტანა კომპანიას.

- მოდი, ერთ საქმეს მოგცემ, არ არის ძნელად გასაკეთებელი. ჩემმა ძველმა ნაცნობმა ახალი ინტერნეტპორტალი გააკეთა და რამდენიმე მსუყე რეკლამა სჭირდება. ამ პორტალის ამბავი ჯერ არცერთმა სარეკლამო აგენტმა არ იცის. აილე ეს საქმე, გეტყვი იმ კომპანიებსაც, სადაც უნდა მიხვიდე და შესთავაზო რეკლამის განთავსება. დამიჯერე, ვებგვერდი ძალიან სერიოზული იქნება, მფლობელმა დიდი ფული ჩადო, საუკეთესო ჟურნალისტები დაიქირავა და ძალიან მალე ყველაზე მეტი მნახველი ეყოლება საქართველოშიც და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებშიც, - ერეკლემ ოფისის გარეთ, გაპრანჭულ კაფეში ფინჯან ყავაზე დაპატიჟა ქუჯი და იქ უთხრა ეს ყველაფერი.

ქუჯი დიდი მონდომებით შეუდგა ახალ საქმეს და პირველი წარმატებული გარიგებაც გამოადნო, ოფისიც ახერხა და მსუყე საკომისიოც მიიღო. ცხადია, ჰონორარი ერეკლესაც გაუყო.

გავიდა ერთი თვე და ერეკლეს დახმარებით ქუჯიმ კიდევ ერთი საქმე მოაკვარახჩინა.

ქუჯი და ერეკლე დაძმაკაცდნენ.

- როგორი ბიჭია ქუჯი?

ნათიას კითხვაზე ერეკლეს ასეთი პასუხი ჰქონდა: შესაბრალისად წესიერი და უიმედოდ შეყვარებული ერთ ლამაზ გოგოზე.

ქუჯი გაენდო ერეკლეს და ქეთის, იმ ლამაზ გოგოსთან ურთიერთობის ლამის ყველა წვრილმანი უამბო მათ. გოგო ნათიას ძველი ნაცნობი აღმოჩნდა. ასე რომ, სამსახურის ამბების გარდა ქუჯის, ნათიას და ერეკლეს უკვე სხვა სასაუბროც გამოუჩნდათ.

დაქირავებული მხატვრის მიერ გაფორმებული სასიყვარულო ბარათები ამაფორიაქებელი სიტყვებით, ორიგინალური საჩუქრები, კარგად გართმული ლექსები - ქუჯის ის გოგო ლამაზად უყვარდა და ამითაც იყო მისი სამიჯნურო ამბავი საინტერესო ნათიასთვის და ერეკლესთვის.

- ერთ კარგ საქმეს მეც გაგაკეთებინებ. მეგობარი ყიდის საკუთარ კომპანიას. გამოაქვეყნე განცხადება ჩვენს სარეკლამო ვეგვერდებზე. კარგ ფასში ყიდის და აუცილებლად დაგირეკავენ, - ერეკლეს ნათიაც არ ჩამორჩა და ქუჯის ასეთნაირადაც გაუნოდა დახმარების ხელი.

სარეკლამო ბიზნესი განსაკუთრებული საქმეა, სხვა ათასი რამის გარდა ილბალიც საჭიროა. ქუჯის გამოქვეყნებულ რეკლამაზე არაერთხელ დაურეკეს, თუმცა რეალური მყიდველი არა და არ ჩანდა.

- გირეკავენ ამ კომპანიის ყიდვაზე?

- კი, მაგრამ ზოგს ფასი არ მოსწონს, ზოგს კი უფრო მცირე კომპანიის შეძენა სურს, რადგან მცირე კომპანიის ყიდვაში ნაკლებ რისკს ხედავენ.

- კარგი ქუჯი, დაველოდოთ, ვილაც აუცილებლად გამოჩნდება, მიმზიდველი, პრეზენტაბელური შეთავაზება გვაქვს დარეკლამებული და საკომისიოც ისეთი იქნება, ორივე კმაყოფილი დავრჩებით.

ქუჯის ძალიან უყვარდა ნათია, მიაჩნდა ის უერთგულეს მეგობრად, რომელმაც სამსახურიც მოუძებნა და კონკრეტული ქეისიც ჩააბარა, ნათია კიდევ იმის გამო უყვარდა, რომ ერეკლე გააცნო, ისეთი ადამიანი, რომელსაც მალევე დაუმეგობრდა.

ამასობაში ერეკლემ კიდევ ერთი საინტერესო საქმე ჩააბარა ქუჯის. უიმედოდ შეყვარებული ბიჭი მთლიანად ამ ქეისზე იყო გადართული,

რა თქმა უნდა, ნათიას ვარიანტიც არ ავინყდებოდა. ქუჯის შმაგი სწრაფვა წარმატებისკენ რაღაც სიკეთეს აუცილებლად მოიტანდა და ვინ იცის, იქნებ მოფულიანებული ბიჭი უკვე საინტერესო გამოდგებოდა იმ გოგოსთვის, ვისზეც ნათია და ერეკლე ბევრს ჭორაობდნენ.

- არის! ყველაფერი გამოვიდა! ისეთი საქმე მომეცია, ვერ გიმტყუნებდი. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა დახმარებისთვის და მეგობრობისთვის!

- სამადლობელო არაფერია, იშრომე და წარმატებასაც მიაღწიე, - უთხრა ერეკლემ.

- ჰო, მაგრამ შენი დახმარების გარეშე, ყირაზე რომ დავმდგარიყავი, მაინც არაფერი არ გამოვიდოდა.

- ნავიდეთ ისევ იმ კაფეში, ყავა დავლიოთ.

ქუჯიმ ესპრესო შეუკვეთა, ერეკლემ აღმოსავლური, ქვიშაზე მოდულებული მოისურვა. უფროსი მეგობარი დიდი ინეტერესით შესცქეროდა გახარებულ ბიჭს. ქუჯი ვერ ხვდებოდა ერეკლეს უცნაური მზერის მიზეზს. მაინც რისი ამოცნობა სურს დრო-ჟამისგან დაბრძენებულ კაცს?

- იცი, ნათიამ რა მითხრა?

- საიდან უნდა ვიცოდე? - გაუკვირდა ქუჯის.

- ნათიამ მითხრა, რომ თურმე ამერიკელებს აქვთ ასეთი გამოთქმა: ცხენს ზედმეტი შვრია არ უნდა აჭამო.

- მერე ამით რა?

- რა და, ჩართე პლანშეტი და დახედე იმ სარეკლამო განცხადებებს, ნათიამ რომ გამოგაქვეყნებინა ჩვენი კომპანიის საიტზე.

ქუჯიმ დაქოქა ვებგვერდი. სარეკლამო განცხადება წინა პლანზე იყო გამოქვეყნებული, ვიპ ადგილზე, ოღონდ თავისი ნომრის ნაცვლად ნათიას ტელეფონი იყო მითითებული.

- ასეა ჩემო ნორჩო მეგობარო, როგორც კი ნათიას გარეშე რაღაც წარმატებებს მიაღწიე, ადამიანობაც იქ დასრულდა. შენ რომ გიყვარს ნათია და რომ გეგონა, იმასაც უყვარდი, თურმე ასე არ ყოფილა.

- ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ჩემი ბავშვობის მეგობრისგან... თანაც ნათია ხომ მილიონერების ოჯახიდანაა...

- ფული ისეთი დედამოტყნული რამეა, რას არ გააკეთებინებს ადამიანს. შენგან გაიგო, რომ ბევრი გირეკავდა ამ საქმეზე და საკუთარი ნომერი მიაწერა რეკლამას.

ქუჯიმ ყავის დაღვევ გადაიფიქრა, გული აუჩქარდა, გარეთ გავიდა და გააბოლა.

- ჯობია პიტნის ჩაი დავლიო, - უთხრა ერეკლეს და მერე შეეკითხა:

- ნათიამ ეს რომ გააკეთა, ისიც ხო იცოდა, რომ ვნახავდი სარეკლამო განცხადებას მისივე ნომრით?

- რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ნათიას შენ, როგორც საქმიანი პარტნიორი, არაფერში არ სჭირდები და თუ ამ ყველაფრის გამო გაებუტები, ეს სულაც არ ანალვლებს, უშენოდაც კარგად შოულობდა ფულს ამ საქმით და ამის იქეთაც ასე გააგრძელებს. ჩემთან საუბარში კი საკუთარი საქციელი ასე გაამართლა: ცხენს ზედმეტი შვრია არ უნდა აჭამო. მეც სულ მაგას მსაყვედურობდა, რატომ ეხმარები ქუჯის, თუ რამის გამკეთებელია, თვითონ გააკეთოსო.

- და შენ რა უპასუხე?

- კარგია შენი მილიონერი ბიძები და ნათესავები რომ გეხმარებიან? მათ გარეშე იქნებოდი ასეთი წარმატებული და იშოვიდი ამდენ ფულს ამ საქმით? ეს რომ ნათიას ვუთხარი, ხმა ვერ ამოიღო, სხვა თემაზე გადამიტანა საუბარი.

- ოჰ, ეს ფული...

- ხო, ფული! ოღონდ ნათიას ამ საქციელს სხვა მოტივაციაც აქვს. შეშურდა შენი და იმ გოგოსი...

- რა შეშურდა? ჯერ არაფერი არ გამომდის იმ გოგოსთან...

- შეშურდა ის, რომ სუფთა გული გაქვს და ასეთი დიდი სიყვარული შეგიძლია. ისიც შეშურდა, რომ უფულო კაცს სენტი და მენტი სხვაზე მეტი გაგაჩნია. იმ გოგოსი კი ის შეშურდა, რომ ვიღაც ქუჯის ასე თავგამეტებით უყვარს, სულ მასზე ოცნებობს და სულ იმაზე ფიქრობს, როგორ შეაყვაროს თავი, შეშურდა ის, რომ ეს გოგო შენთვის უნიკალური ქალია და სიყვარულში ნამდვილი გერმანელი ხარ, გოლს ბოლო წუთზე მაინც გაიტან და გაიმარჯვებ.

- ნათიას კარგი ქმარი და ოთხი შვილი ჰყავს, მშვენიერი ოჯახი, ლამაზი და განათლებული ბავშვები...

- არა, მეგობარო, შენ არ იცი ნათიას რას ეძახის ქმარი...

- მხოლოდ ის ვიცი, რომ ნათია უძღვება ოჯახს, ყველაფერი მის კისერზეა, ეს არც დაუმალავს ჩემთან ლაპარაკში...

- ნათია გამრჯე ქალია, ბევრს შრომობს, ფულიანი ბიძები და ნათე-

სავეები ერთია, თავდაუზოგავი შრომა კი მეორე. დილის ცხრაზე რომ გადის სახლიდან, საღამოს ათზე შედის სახლში, ბავშვებს ლოგინში რომ ჩაანვენს და ქმარს მოეფერება, მერე მე მირეკავს შუალამის პირველ საათზე და საქმეზე მელაპარაკება. ასეთია მისი ცხოვრება, ვირივით შრომობს და ქმარი მაგდანას ლურჯას ეძახის. საკუთარი ყურით მოვისმინე, ასე რომ მიმართა ცოლს, რომელიც ოქროს კვერცხებს დებს. აბა, როგორია, ქმარი მაგდანას ლურჯას რომ დაგიძახებს?! შენ კი იმ გოგოს აღმერთებ...

ერეკლემ მიმტანს თანხა გადაუხადა, ტიპიც უხვად დაუტოვა და დიდად კმაყოფილი გამოვიდა კაფედან.

- ნათია ახლა ისე კარგად მოსჩანს, როგორც კენჭი ჭიქის ძირში.



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

Q

NEW YORK

თრეინი

სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილი ყოფილა მოარული, ტაკიმასახრა
...და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე.
სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის,
თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით

უილიამ შექსპირი

მეათე ბრაიტონზე, მზიას საცხოვრებელი ახლოს ვეკრაობდით ოთახს მე და რუსი რუსლანი. ბინის პატრონს არ უყვარდა რუსლანი, რაღაცეებს ბოდავს და ზოგჯერ, ძილის წინ არაყს სვამსო.

რუსლანი ელექტრიკოსი იყო, დედამისი ფლორიდაში ცხოვრობდა, ბიჭი კი მამინაცვალს ვერ ეგუებოდა და ნიუ-იორკშიც ამიტომ წამოვიდა.

მშვიდი ადამიანი იყო, არაყს მართლაც სვამდა, ოღონდ ცოტას. ბრაიტონზე ჩემთვის არასდროს შემოუთავაზებია დალევა, ეს იყო მხოლოდ მისი რიტუალი. დიახ რიტუალი, თორემ თრობა და დროსტარება სულაც არ იყო რუსლანის ხაზი.

მე და რუსლანს სხვადასხვა განრიგი გვქონდა. დილის ხუთ საათზე ვიღვიძებდი, ნახევარ საათში კონი აილენდზე გავდიოდი და იმ მინივენს ველოდებოდი, რომლითაც კიდევ ხუთი ქართველი მტვირთავი ნიუ ჯერსის ერთ-ერთ საწყობში მივდიოდი. სატვირთო მანქანას მატრასებითა და ლითონის ელექტრო საწოლებით ვავსებდით. გვაძლევდნენ ფურცელს მისამართებით, სადაც უნდა მიგვეტანა ეს ყველაფერი. ცარიელი სატვირთოთი საღამოს რვა საათისთვის ვბრუნდებოდით საწყობში. იმ მატარებლისთვის უნდა მიმესწრო, მანჰეტენამდე რომ ჩამომიყვანდა, მერე კი Q-თრეინი და მისი ჯანი - პირდაპირ ბრაიტონზე ამოვყოფდი თავს. შხაპის შემდეგ ლოგინში რომ ჩავწვებოდი, უკვე შუაღამის 12 საათი იყო. რუსლანს ეძინა, მე კი ძილს ვაპირებდი.

გავითანგე.

ოთხი კვირის თავზე მითხრეს, სწრაფად ველარ მუშაობ და სატვირთოს არც ერთ ქართველ მძღოლს აღარ უნდებარ მენყვილედო.

- წამოდი ჩემთან დამხმარედ. აზერბაიჯანელმა მაშალამ ორკვირიანი საქმე მომცა მანჰეტენზე. დღეში ას დოლარზე ნაკლებს არ გადაგიხდის.

რუსლანის შემოთავაზებამ და გვერდში დგომამ გამომაკეთა. ბევრს არ ლაპარაკობდა. მშვიდად მიხსნიდა ყველაფერს. მეტწილად ჭერში და სახურავზე გვიწევდა მუშაობა მანჰეტენის ზედა მხარეს, ძველ, სამ ან ოთხსართულიან სახლებში. საღამოს ექვს საათზე ვამთავრებდით სამუშაოს.

მაშალაც კარგი ბიჭი გამოდგა, ყოველ დღით ოცდოლარიანს გვაძლევდა მგზავრობის და ყავის ფულად. ზოგჯერ, სამუშაოს დასრულების შემდეგ მანქანით გამოგვივლიდა ხოლმე მანჰეტენზე და ბრაიტონზე მივყავდით. თვითონაც ბრაიტონზე ცხოვრობდა.

მაშალას საკუთარი კომპანია ჰქონდა და იმდენს მიაღწია, რომ მანჰეტენზე მუშაობის ლიცენზია მოიპოვა. მანჰეტენზე ყველანაირი სარემონტო სამუშაო ძვირია. რუსლანი კმაყოფილი იყო ხელფასით. შესვენება ერთი საათი გვქონდა, ჩავიდოდა გროსერიში, საჭმელსა და ენერგეტიკულ სასმელს მოიტანდა, ორ ნაჭერ ნუშის ნამცხვარსაც.

ჯერ ჰელპერი ხარ, ჩემზე ნაკლებს გიხდიან, ამიტომაც სადილი ჩემზეა - პირველივე დღეს გამომიცხადა რუსლანმა.

ეს ახალგაზრდა რუსი არასდროს არ მელაპარაკებოდა საკუთარ ოცნებებზე, ქალებზე, სიყვარულზე, ძვირიან მანქანებზე და გემრიელ კერძებზე. Q-თრეინში რომ ჩავსხდებოდით, მყის უცნაური ცნობისმოყვარეობა გაიღვიძებდა მასში: მგზავრებს გულმოდგინედ აკვირდებოდა, ჩაფიქრდებოდა, სევდიან იერს მიიღებდა და კარგა ხანს ხმას არ ამოიღებდა.

ნიუ-იორკში მეტროს თრეინს, ანუ მატარებელს ეძახიან, რადგან იქაური მეტრო დიდ მანძილებს ფარავს. მეტროს უამრავი ხაზია ამ ყველაფრით უკიდევანო სამყაროში, Q-თრეინი კი რუსულად მოლაპარაკე ხალხისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია: ბრაიტონ ბიჩი მათთვის ბოლო გაჩერებაა.

ერთხელაც გავბედე და ხისტი კითხვა დავუსვი რუსლანს:

- რატომ ხარ ასეთი უცნაური?

- ეშმაკებს ვხედავ.
- რა სასაცილო ხარ!
- არა, სასაცილო რომ ვიყო, რა მიჭირს, პირიქით, დამძიმებული ადამიანი ვარ, რადგან მაქვს ეს ნიჭი.
- და როგორ, სად ხედავ ეშმაკებს?
- ქუჩაში, მეტროში... ყველგან. აი, მაგალითად, მოდის ერთი ჩვეულებრივი კაცი, ჯერ ყველა ერთნაირად ვხედავთ მას, ოღონდ თუ დავაკვირდი, მერე გამოუჩნება რქები და სახის საშინელი კონტურები. როცა ზაფხულია და ხალხს შილიფად აცვია, ეშმაკებს ჩლიქები და კუდიც მოუჩანთ.
- და ათ ადამიანში რამდენ ეშმაკს ამჩნევ?
- ასე ზუსტად ვერ გეტყვი. არიან პატარა ეშმაკუნებიც, ლოტოს კოჭს ემსგავსებიან, კარაზანასავით ბზუიან და როგორც კი ამოვიცნობ, დაბზრიალდებიან და ქრებიან.
- ჩვეულებრივ ეშმაკებს რა ემართებათ როცა ამოიცნობ?
- არაფერი. ვცდილობ აღარ ვუყურო მათ. ამ ყველაფრის გამოა, ძილის წინ არაყს რომ ვსვამ, ჩაძინებაში მშველის და ცოტათი მიხალისებს ცხოვრებას.
- შენ ჯოჯოხეთიც გექნება ნანახი?
- თრეინის ქვევით, ლიანდაგებში ვხედავ განწირულ, გაუბედურებულ ხალხს, თუ როგორ ითხოვენ შველას. როცა მატარებელი გასრიალდება რელსებზე, მათი კვნესა და გოდება კიდეე უფრო საშინლად ისმის ღრჭიალთან ერთად.
- ხო, ალბათ დოსტოვესკისც ხედავდა ეშმაკებს როცა „ეშმაკნი“ დაგვინერა...
- ირონია ხელოვნებას უფრო უხდება, ვიდრე სინამდვილეს. მე ვისაც ვხედავ, ეს არის უღმერთო ხალხი, ამ ადამიანებში ქრისტემ რესურსი ამოწურა. ვეცდები უფრო კარგად აგიხსნა: წარმოიდგინე, რომ ბოროტება ჩაიძინე და ღმერთმა გაპატია, კიდეე იგივე ან უარესი გააკეთე და ისევ გაპატია, შენსა და ეშმაკს შორის არის კედელი, რომელიც ცოდვების მატებასთან ერთად თხელდება და თუ არ შეაჩერებ ცუდ საქმეებს, კედელი გაქრება.
- საინტერესოა, ნიუიორკელ ქართველებში რამდენი ეშმაკი გყავს ამოცნობილი...

- Грузины-грызуны: აქაური რუსები ასე ეძახიან თაღლით, უწესო ქართველებს. ეშმაკებზე და ცუდ რალაცეებზე ლაპარაკი დღეს მეტი აღარ გვინდა. მაშალა საინტერესო ამბებს მოგვიყვება ბაქოზე, იქაურ ცხოვრებაზე...

ორი კვირა მალე გავიდა. უკეთესი სამსახური გამომიჩნდა, რუსლან-მა კი დედამისთან, ფლორიდაში წასვლა გადაწყვიტა.

- იქ ნოემბერშიც თბილა. დედა ძალიან მომენატრა, იქაური ზღვაც სხვანაირად მეჩვენება, ალბათ იმიტომ, რომ ზვიგენი ბევრია ფლორიდაში. არასდროს მინახავს ზვიგენი ოეკანეში, იქნებ ახლა მაინც გამიმართლოს. საშობაოდაც იქ ვიქნები. მოკლედ, იანვარში ისევ შევხვდებით ბრუკლინში.

ჩემი ბრუკლინური ცხოვრება თითქოს უკეთ ნავიდა, თუმცა მეც მენატრებოდა დედა, მამა და თავისუფლება, საკუთარ სახლში მხართეძოზე წამოწოლა და ფეხბურთის ყურება.

ამასობაში მოვიდა 25 დეკემბერი და მიჰყვა საახალწლო დღეებიც. რუსლანი სიტყვის კაცი გამოდგა და მაიამიდან ჩამოვიდა.

- ნავიდეთ მანჰეტენზე და რამე დავლიოთ, შენ ღვინო, მე - არაყი, მაშალა მაინც არაფერს არ სვამს და ორნიც კარგად ვისაუბრებთ.

მედისონ სქვერ გარდენთან მივაგენით საინტერესო რესტორანს: Hooter Waitress, სადაც გამონვევად ჩაცმული გოგონები ემსახურებიან მაგიდებს და ფასიანი სპორტული არხებია ჩართული სხვადასხვა ეკრანზე. ის მაგიდა ავარჩიე, საიდანაც ინგლისის პრემიერლიგის მატჩს გახარებული შევცქეროდი - რაც ნიუ-იორკში ნავედი, ასეთი სიამოვნება პირველი იყო.

- ამ ფეხბურთმა სახლი გაგახსენა?

- კი, სახლი და ის ნეტარება, რაც აქ ჩემთვის ძალიან სანატრელია.

ცოტა რომ დავლიეთ, რუსლანმა ისევ საქართველოზე ჩამომიგდო სიტყვა.

- მხოლოდ ფულის გამო ჩამოხვედი ნიუ-იორკში?

- არა მხოლოდ... მინდოდა ამერიკული ცხოვრების ნახვა, თანაც გავეცალე თბილისს, რამდენიმეხნინი განშორება აუცილებლად მჭირდებოდა.

- მიზეზი?

- ადამიანებმა გული მატკინეს და ჩავთვალე, რომ აქ სხვანაირი ადამიანები არიან სხვანაირი წესებით.

- წესები აქ მართლაც სხვანაირია, ვიდრე ჩვენთან, რუსეთსა და სხვა საბჭოთა ქვეყნებში.

- საქართველო აღარაა საბჭოთა კავშირი...

- ვიცი, მაგრამ მენტალურად მაინც საბჭოთა მგონია საქართველო, შესაძლოა ჩვენზე და მაშალას აზერბაიჯანზე ამ საქმეში ცოტათი წინ იყოთ, ოღონდ მენტალიტეტი ყველგან ძნელად იცვლება. მომიყევი ის ამბავი, რაც ამერიკაში წამოსვლამდე გადაგხდა.

- ჯერ შენ მომიყევი.

- მე ნიჟნი ტაგილიდან ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე. მგონი საკმარისია, მეტს აღარაფერს გეტყვი. სასულიერო სემინარიაში კი ჩაებახარე, მაგრამ სწავლას გული ვერ დავუდე და მალევე გამოვედი, ერთი უბრალო, მუშა კაცი ვარ.

- ენჯელოში ვმუშაობდი, მსუყე გრანტი გვქონდა, დიაბეტით დაავადებულებს ვეხმარებოდით წამლებით, კონსულტაციით, დიეტური საკვებით. მოკლედ, კარგ საქმეს ვაკეთებდით და კარგი ხელფასებიც გვქონდა. უფროსი დიდი უცნაური კაცი იყო, კლიმენტი ერქვა, საკუთარი წესები შემოიღო სამსახურშიც, მაგალითად, ვინც სიგარეტს ოფისში ეწეოდა, ხელფასიდან ხუთ პროცენტს უკავებდა. მასთან კამათს ვერაფერს ბედავდა, რადგან მაღალხელფასიანი სამსახურს ყველა უფროსი იღებოდა. მე კი პრეტენზია და ამბიციაც მეტზე გამიჩნდა : ალცჰაიმერის სკრინინგი და ამ დაავადების მკურნალობა - ახალი საქმე შევთავაზე. ამ მიმართულებაზე თითქოს ჯანდაცვას ჰქონდა თათი დადებული, მაგრამ დიდი სამუშაო გავნიე, უცხოეთში პირადი კონტაქტები გამოვიყინე, პროექტი ლამაზად დავწერე და დამატებითი გრანტიც მოვიპოვეთ ამ ახალ პროგრამაზე. საჭირო გახდა ახალი თანამშრომლების მოყვანა და კლიმენტიმ ეს საქმე მე დამავალა - შენ დაიწყე და შენვე უნდა მიიყვანო ბოლომდეო. წლების წინ ვმუშაობდი მსგავს ორგანიზაციაში, რომელსაც გრანტი აღარ გაუგრძელეს და გაქრა, კვალიფიციური ხალხი უმუშევრად დარჩა და მეც ვენდე ძველ თანამშრომლებს, საკუთარ მეგობრებად ჩავთვალე ისინი. ერთი სიტყვით, სამსახურში ახალი სამსახურიც გაჩნდა, ამ ახალ სამსახურს კი მერე საკუთარი ხელმძღვანელიც სჭირდებოდა. რამდენიმე დღიანი ფიქრის შემდეგ ძველი ნაცნობი გამახსენდა, გერმანიაში ნასწავლი და ნამუშევარი. ჩავთვალე, რომ კაპიტო ზედგამოჭრილი კადრი იყო ამ საქმისთვის და ბატონ კლიმენტისაც წარვუდგინე.

- მერე რა მოხდა? კარგ საქმეს ცუდი გაგრძელება რატომ გამოუჩნდა?

- დიაბეტის პროგრამაში ვაგრძელებდი მუშაობას და იმავდროულად რად ჩემს ახალ პროექტშიც დავსაქმდი, ანუ ერთი ორგანიზაციიდან ორ ჯამაგირს ვიღებდი. კლიმენტიმ კი კიდევ ერთი უცნაურობა გამოიჩინა და ალცჰაიმერის დეპარტამენტს მენეჯერიც დაუნიშნა: თამრიკო, დიდი მელაკუდა გოგო.

- განკითხვებს თავი დაანებე, კარგს არაფერს მოგიტანს.

- განკითხვა და მხილება ერთი და იგივეა?

- ალბათ, არა...

- თამრიკო არანაირად არ იყო კომპეტენტური ამ საქმეში, რამდენჯერმე წამოაყრანტალა სისულელე, რაც არ მოვიწონე და ალბათ ამის გამო შემიძულა. ერთხელ კლიმენტისთან ვთქვი, კაპიტო გამრჯე მუშაკია, ოღონდ ჯანდაცვასთან რბილი ურთიერთობა აქვს, წარმატებას კი აგრესიული პოლიტიკა ჭირდება-მეთქი. დარწმუნებული ვარ, მელაკუდა თამრიკომ ეს ყველაფერი კაპიტოს უთხრა და თანაც ისე, რომ თითქოს კაპიტო სუსტ მამაკაცად წარმოვაჩინე კლიმენტისთან.

- და რითი დასრულდა ეს ყველაფერი?

- კაპიტო მივიდა კლიმენტისთან და ჩემზე უთხრა, აღარ მინდა რომ ალცჰაიმერის განყოფილებაში ჩემთან იმუშაოსო. უფროსს მეტი რა უნდოდა, საბაბად გამოიყენა ეს და ჩამხსნა ალცჰაიმერის პროექტიდან, ორი ხელფასიდან ისევ ერთ ხელფასზე გადამიყვანა, არადა ალცჰაიმერის პროექტი ჩემი იდეა და ნაშრომი იყო.

- იმ ძველმა მეგობრებმა, რომელიც შენი რეკომენდაციით დასაქმდნენ ალცჰაიმერის პროგრამაში, სოლიდარობა არ გამოგიცხადეს? გვერდში არ დაგიდნენ?

- არა, მხოლოდ ერთი იმათაგანი, ზვიადი მოვიდა ჩემთან და მითხრა, განცხადებას დავწერ და წავალ, ასეთ საშინელებაში ვერ დავრჩებიო. მე კი ვუთხარი: ამ საქმეში არავინ არ აგყვება, მხოლოდ სოლიდარულ პოზიციას აქვს ძალა, სხვანაირად დაკარგავ სამსახურს და მეც ვერაფერში ვერ შემეშველები. მერე დავინტერესდი იმით, თუ რა თქვეს ამ ამბავზე ჩემმა დანარჩენმა ვითომ მეგობრებმა და ზვიადმა ისეთი რამ მითხრა, რაც ყველაზე უფრო მომხვდა გულზე: იმ ვითომ მეგობრებიდან ყველაზე უხუცესმა და ავტორიტეტიანმა შენზე თქვა,

რას ელოდება ჩვენგან, ხომ აქვს ერთი სამსახური და ჩვენთან საერთოდ რატომ მოვიდა ამ საკითხზე სალაპარაკოდ.

- ანუ იმ ძველ მეგობრებს სთხოვე დახმარება?

- როგორც კი ეს ამბავი გავიგე, შევხვდი და მოვუყევი ყველაფერი. არ მითხოვია დახმარება, მეგონა, რომ თვითონ გამოიძებნენ თავს და გვერდში დამიდგებოდნენ.

- ახლა გასაგებია ყველაფერი. იცი რა მითხრა ერთმა მღვდელმა ნიჟნი ტაგილში?

- აბა, გისმენ ყურადღებით...

- ყველაზე დიდი ცოდვა არის უმადურობა.

- და გინახავს ისეთი კაცი, ვინც უმადურობის გამო ჩაენერა ჭინკებში?

- კი, Q-თრეინში ვნახე, განსხვავებული იყო სხვა ეშმაკებისგან.

- რითი იყო განსხვავებული?

- თევზის თეთრი მუცელივით თავი ჰქონდა, სხვა ეშმაკებზე კიდევ უფრო საშინელება იყო.

- მალე ალბათ ქურუმი გახდები და მიცვალებულთა სულების გამოხმობას შეძლებ.

- არა, მე მალე მოკვდები, ჩემნაირები მალე კვდებიან, ეს ნიჭი მამძიმებს, დიდ ხანს ვერ გავატან.

ბევრი აღარ დაგვიღევია, 34-ე ქუჩამდე ჩამოვისეირნეთ და Q-თრეინში ჩავსხედით. ახლა უკვე მე ვიყავი ჩაფიქრებული და გარინდებული.

- რაზე ფიქრობ, გრუზინ?

- იდუმალ სულთა არსებობაზე.

- მე კი გირჩევ, რომ არ იფიქრო მაგაზე. შურისძიებაზეც არ იფიქრო. ნიჟნი ტაგილის ეკლესიის ერთ-ერთ ფრესკაზე ამოვიკითხე ასეთი წარწერა: ამყოფე გონება ჯოჯოხეთში და სასო არ წარიკვეთო. თუ დამიჯერებ, კარგი შეგონებაა. კიდევ, შეეცადე შეხედეო ადამიანებს ქრისტეს თვალებით და მათზე უკეთესი გახდები, რადგან ყველანაირი სიძულვილი გაქრება შენში.

- დედის გარდა ვინმე გიყვარს?

- Q-თრეინი მიყვარს, ეს ჩემი მიკროსამყაროა.

რუსლანის ამ სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო მეტი ცნობისმოყვარებით ვაკვირდებოდი Q-თრეინის მგზავრებს. ჩემი რუსი მეგობარი

ილიმოდა, მერე კი მითხრა, რა გულშეუძვრელად გაგიმეტეს ორი ხელფასის გამოო.

ბრაიტონ ბიჩზე რომ ჩამოვედით, მკითხა:

- რამე დაგანახა მგზავრებზე დაკვირვებამ?
- განსაკუთრებული ვერაფერი, მე ხომ არ მაქვს შენნაირი ნიჭი.
- რაც უნდა შეგემჩნია, ამას ეს ნიჭი არ ჭირდება.
- და რა უნდა შეემეჩნია?

-მანჰეტენის ცენტრიდან დავიძარით, სამი გაჩერების შემდეგ ზედა ბრუკლინზე გადმოვედით, მერე ისევ ქვევით და ქვევით ჩამოვედით ბრაიტონისკენ, ნიუ-იორკის ყველაზე ცუდი ადგილისკენ და ასე ემართებოდათ ადამიანებსაც: სიმპათიური მგზავრები ცოტავდებოდნენ, მახინჯი მგზავრები კი ბევრდებოდნენ. ასე რომ, დაივინყე ის ხალხი, ყველაზე საბრალო ხალხი...

გლდანელი
ანზორი

ისტორია როკის სტილში

ასე მგონია, რომ როკი მუსიკის ყველაზე პატიოსანი სტილია, რადგან ამ ჯადოქრობაში გულრწფელობა და პროტესტი უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან.

ენერგიაც საოცარი აქვს და მე თუ მკითხავთ, ყრფოლაც ყველაზე მეტია. როკში ყველაფერი მღერაღია: დრამიც, ბასიც და სოლოც. ისე არსად, როგორც აქ - ეს როკის ფორმულაა.

აქ , აქ და მხოლოდ აქ!

და რადგან ასეა, როკი იფრქვევა ქალაქურ ფოლკლორშიც. ხალხისთვის გადაფანტულ ნაპერწკლებს წააგავს და აქაც შეიძლება იმის თქმა, რომ ერთ ადგილას მკიდია ისიც და ესეც, არც იქით ვარ და არც აქეთ.

მე სხვა ვარ, რომელიც გადაუფრენს გუგულის ბუდეს!

გლდანელი ანზორის როკი ოცნებით გაფერადებული პროლეტარული პროტესტია. ანზორი სან პედროზე ფიქრობს, ოღონდაც ჯერ ლამაზი ცა, აქაური ნეტარების სურვილი და უთანასწორობა - აქედან მოდის მძიმე აკორდები.

ეს ყველაფერი გლდანში ხდება და სულაც არ წააგავს ვესტსაიდურ ამბავს. გლდანელი კაცის სიმღერა უკიდურესი პროტესტია, რადგან გარშემო იმედგაცრუება და უსამართლობაა. შანსი და გარღვევა არ ჩანს, ეს გლდანია.

ჩემი ისტორია კი საბურთალოდან იწყება და დიდუბეში მთვრდება, მთავარი პერსონაჟი: გლდანელი გოგო, სხვანაირი, მაგრამ მაინც იქაური, საიდანაც ანზორია.

ფეისბუქი გაცნობის საიტი არ არის, თუმც გამიმართლა და ეშხიან

გოგოსთან გავაბი მიმონერა. კანაპეში შევხვდით, ყაზბეგის გამზირზე.

გამიკვირდა, რომ ლანა უმაკიყოდ მოვიდა პაემანზე. უბრალოებით სურს ჩემი მოხიბვლა - სხვა რა უნდა მეფიქრა?! მერე ისიც აღმოვაჩინე, რომ ტუჩსაცხიც არ ესვა. აი, აქ კი რამდენიმე წუთი დამჭირდა ამოცანის ამოსახსნელად და პასუხიც: ლანას სქელი და მუქი ტუჩები ჰქონდა და ძალიან უნდოდა, რომ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია, რადგან ქალს თუ მუქი ტუჩები აქვს, მისი მკერდის თავები ტრივიალურად ვარდისფერი ვერ იქნება, მნიფე შავი ლელვის ქოლორი ხომ ქალის სიკეთეებს კიდევ უფრო მიმზიდველად აჩენს.

შემრცხვა, რომ ლანას პორნოგრაფიულად შევხედე. ოჯახის შექმნა, მხოლოდ სერიოზული ურთიერთობა - ჯერ კიდევ მიმონერისას მიმახვედრა საკუთარ პრიორიტეტებზე, მაგრამ შეუღლებავი, მუქი სავსე პირბაგე მაინც ცელქი გამოწვევა იყო ქალის მხრიდან.

- ერთ-ერთ კვლევით ცენტრში ვმუშაობ, ბევრი შეკვეთა გვაქვს და თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მრჩება. მხოლოდ შვებულებაზე ვახერხებ დასვენებას, ამ ზაფხულს ნიცა და მარსელი მოვინახულე. შენ რას საქმიანობ?

- დროებით უმუშევარი ვარ, თუმცა ვნახოთ, რაღაც საქმე ნამოვიწყეთ მე და ჩემმა მეგობარმა და ალბათ ყველაფერი კარგად აგვეწყობა. შენ კი უკვე ყველაფერი მოგვარებული გაქვს, სტაბილურობა კარგია, მშვიდად ხარ.

-ხო, ხელფასი ნორმალურია, მალე უკეთესი ანაზღაურება გექნებათო, - შეგვპირდა უფროსი და იქნებ იპოთეკით ერთსაძინებლიანი ბინის ყიდვაც მოვახერხო. ბანკი დღე-დღეზე დამიმტკიცებს სესხს. ცალკე, ჩემთვის მინდა ვიცხოვრო.

- რა დიპლომი გაქვს?

- მათემატიკოსი ვარ.

- და სულ კვლევით ცენტრში მუშაობდი?

- არა, მანამდე საჯარო სკოლაში ვიყავი მათემატიკის მასწავლებლად. ბავშვებთან მუშაობას თავისი სპეციფიკა აქვს, არ არის ადვილი საქმე.

- გეთანხმები, თანამედროვე ბავშვებთან ურთიერთობა ზოგჯერ ძალიან ძნელია.

პიცა შევუკვეთეთ, ორი ჭიქა ტვიში და ტირამისუ.

- მეტს ვერ დავლევ, მანქანით ვარ - მითხრა ლანამ.

ქალის სამასწავლებლო კარიერამ ჩამაფიქრა და არაერთი კითხვა დავუსვი სკოლის მოსწავლეებზე, ისეთიც, რომელიც არ ესიამოვნა, რადგან ვერ მიხვდა, თუ რას ვეკითხებოდი.

- მოზარდ გოგოებში ნიმფეტი არ შეგიმჩნევია?

ქალმა საუბრის თემა შეცვალა, არ უნდოდა, რომ მხოლოდ კარგი ხელფასითა და ევროპაში მოგზაურობით წარმოეჩინა საკუთარი უპირატესობა. პოეზია და გალაკტიონი - ასეთი გამოდგა ლანას არჩევანი, თუმცა კითხვები მაინც ვერ აისხლიტა.

- საიდან უნდა სცოდნოდა ჭყვიშელ კაცს, რომ უაილდი პიჯაკზე ყვავილს იმაგრებდა? და საიდან უნდა სცოდნოდა ფრანგულის არამცოდნე კაცს ასე კარგად ბოდღერისა და ვერლენის პოეზია?

დახვეწილობა! აი, ყველაზე უფრო რა აღიზიანებთ მაღალხელფასიან, მანქანიან და ბინიან ქალებს. შესაძლოა, არ იყო ზუსტი დასკვნა, მაგრამ იმ პაემანზე ასეთი გამოდგა ჩემი თვალთახედვა.

- და რატომ დაირქვა პავლემ პაოლო?

ეს ის ბოლო კითხვა იყო, რომლის შემდეგ მიმტანს თანხა გადავუხადე და გარეთ გამოვედით.

- უმანქანოდ ვარ, დიღმის მასივში ვცხოვრობ და თუ სახლში მიდიხარ, ბარემ გამიყოლე.

მანქანაში ჩავსხედით. ლანამ ჯერ პეკინზე გაჭრა გზა, მერე კოსტავაზე მოტრიალდა და ვახუშტის ხიდით წერეთლის გამზირზე ავლმოვჩნდით. რატომ აირჩია ასეთი მარშრუტი? რას გაუგებ ქალ მძღოლს...

მეტრო დიდუბემდე ვერ მივალწიეთ, ლანამ წერეთლიდან ერისთავის ქუჩაზე აუხვია და მანქანა გააჩერა.

- აქ იყოფა ჩვენი გზები. პიცისთვის და ჭიქა ღვინისთვის მაღლობა, ტირამისუც ძალიან გემრიელი იყო.

- უკვე შულამეა, სანამ სახლში მივალ, ალბათ ქუჩის ძაღლები ამედევნებიან, ბარემ მიმიყვანე სახლამდე.

- დიდუბის ხიდან ახლოს ცხოვრობ და დიდი გზა აღარ გაქვს გასავლელი.

- მე რომ ასე ჩამომეგდე მანქანიდან, გესიამოვნებოდა?

- რა თქმა უნდა, არა, ოღონდ მე ქალი ვარ, შენ კი კაცი და არაფერი გიჭირს, ცოტას ფეხით თუ გაივლი, ვახშამს კარგად მოინელებ.

ნელი სვლით გავუყევი გზას. მორიგი გამოცანის ამოხსნას დრო

სჭირდებოდა. გლდანელი ანზორი გამახსენდა, მისი სიმღერის მესამე მისამღერი, სადაც კიდევ უფრო ამძაფრებს და ამკაცრებს კრემენდოს.

და, იყო თუ არა ლანას კრემენდოც პროტესტი?

ალბათ მხოლოდ ანზორიმ იცის ზუსტად, რა ხდებოდა ლანას გულში. მე მაინც მგონია, რომ გლდანელი გოგოს საქციელი ძალმოსილებით როკერის ფარდი პროტესტი იყო, ოღონდ ოცნებისგან დაცლილი და საშინლად არამუსიკალური.

მოტივი მსგავსია. დანარჩენი მივანდოთ აკორდებს.



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

სუთივე ამგავი კუნდად არის მონათხროვი მსოლოდ და
მსოლოდ იმიტომ, რომ არ დაილალოთ

ნიბნი მსოლოდ მაშინ არის ენდოროფინი, თუ
გრავიტიციული ქალა აქვს

გიყვარდეთ საკუთარი თავი და დაკვირვება ადამიანებზე
- ასე უფრო იოლია ცხოვრება

